

## დიასპორა და წმინდა წერილი

არქიმანდრიტი აზო (ლევან ჩაჩუა)  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საინჟინრო ეკონომიკის,  
მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის,  
მესამე კურსის დოქტორანტი

<https://doi.org/10.52340/gbsab.2026.57.08>

**საკვანძო სიტყვები:** დიასპორა, წმინდა წერილი, ძველი აღთქმა, ახალი აღთქმა,

### დიასპორა ძველ აღთქმაში

ბერძნულიდან მომდინარე სიტყვა დიასპორა, რომელიც თავის საწყისს ზმნიდან *διασπείρειν* [diaspeirein] იღებს, ყველაზე ხშირად სამოცდაათთა თარგმანში ანუ სეპტუაგინტაში გვხვდება ორი მნიშვნელობით: ერთის მხრივ დიასპორა აღნიშნავს ებრაელების გაბნევას, გაფანტვას წარმართ ხალხებს შორის:

მოსე წინასწარმეტყველი, თავის მეხუთე წიგნის, მეორე რჯულის ბოლოს სიტყვა დიასპორას იყენებს წყევლის კონტექსტში მათ წინააღმდეგ, ვინ რჯულს არ ემორჩილება. მოსე აფრთხილებს ებრაელებს:

„გაგფანტავთ უფალი ყველა ხალხში ქვეყნის კიდიდან ქვეყნის კიდემდე, დაუწყებთ იქ სამსახურს უცხო ღმერთებს, რომელთაც არ იცნობდით არც შენ და არც შენი მამა-პაპა - ხესა და ქვას (2 რჯ. 28,64)“. წმ.იერემია წინასწარმეტყველის ისმენს უფლის სიტყვას ებრაელი ერის ბაბილონში გადასახლების შესახებ:

„მითხრა უფალმა: [...] შენ მიმატოვე მე [გულისხმობს ებრაელ ერს], ამბობს უფალი, უკან გაბრუნდი. ამიტომაც ხელს მოგიღერებ და დაგლუპავ. დამღალა შეწყალებამ. გავანიავე, [გავაზნიე, მიმოვფანტე] ისინი სანიავებლით ქვეყნის კარიბჭეთა მიღმა (იერ. 15,1.7=LXX 41,17)“. ეს არაა გასაოცარი, რომ შინაარსობრივად ეს გაბნევის, გაფანტვის გამოცდილება, რომელიც ბერძულში როგორც „დიასპორა“ იქნა თარგმნილი, თავად ებრაული ენის უძველეს ფორმაში უფრო ნეგატიურ კონოტაციას შეიცავს. საკუთრივ ებრაულში ეს სიტყვა ნიშნავს *גולה*, *golah* ან *galuth* დეპორტაციას *deportation*, გადასახლებას *exil*. გოლაჰი აღნიშნავს თავად დეპორტაციას (და, ამრიგად, მათ, ვინც იძულებით ცხოვრობს დიასპორაში), ხოლო გალუტი ეხება ექსილში, დეპორტაციაში ცხოვრების პროცესს.

მეორეს მხრივ კი ამ სიტყვით დავით წინასწარმეტყველი საუბარობს გაფანტული ებრაელი ერის მათი მამების მიწაზე კვლავ უკან დაბრუნების შესახებ: „აამენებს იერუსალიმს უფალი, განდევნილებს ისრაელისას შემოკრებს (ფსალმ. 146,2)“. ეზეკიელ წინასწარმეტყველი კი უფრო ღრმად წარმოგვიჩენს ამ საკითხს „გამოგიყვანთ ხალხებიდან, გამოგვრებთ ყველა ქვეყნიდან და მოგიყვანთ თქვენს მიწაზე. გასხურებთ განმწმედელ წყალს და გაგწმედთ ყოველი უწმიდურებისგან და ყოველი თქვენი კერპისგან გაგწმედთ თქვენ. მოგცემთ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით; ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ. ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ. იცხოვრებთ იმ ქვეყანაში, რომელიც თქვენს მამა-პაპას

მივეცი; იქნებით ჩემთვის საკუთარ ერად და მე თქვენი საკუთარი ღმერთი ვიქნები (ეზეკ. 36, 24-28)“. წმ. წერილის ამ გამონათქვამებში ვხედავთ დიასპორას - ერთის მხრივ როგორც სასჯელს და გაფანტვას, მეორეს მხრივ ისევ საკუთარ მიწაზე უკან მიბრუნებას: დიასპორა როგორც გაბნევა და ამავედროულად შემოკრება. სეკულარულ-წარმართულ, ქრისტიანობამდელ კონტექსტში კი სიტყვა დიასპორა მხოლოდ ბერძენ ისტორიკოს პლუტარქესთან გვხვდება. მისი ცხოვრების პერიოდია ქრისტეს შობამდე 45 და ქრისტეს შობის შემდეგ 125 წლები. პლუტარქე თავის ნაშრომში ეპიკურეს შესახებ, რომელიც ქრონოლოგიურად პირველი ნაშრომია სეპტუაგინტას შემდეგ ქრისტიანულ მწერლობამდე, გადმოგვცემს ეპიკურეს შეხედულებას სულის სხეულიდან გასვლის შესახებ. ჩვენთვის აქ საინტერესო ისაა, რომ სიტყვა „დიასპორა“ პირველად გვხვდება საერო-წარმართულ მწერლობაში. ეპიკურესთვის სულის განშორება სხეულისგან ნიშნავს, სულის ცარიელ სივრცესა და ატომებში „გაბნევას-διασπαρά.“ ანუ ეპიკურეს მიხედვით სული სხეულის გარეშე იმყოფება დიასპორაში, ანუსული სხეულის გარეშე დიასპორული ხასიათისაა. ბუნებრივია ეპიკურეს ამ დასხვა შეხედულებებს, რომლებიც ქრისტიანული ღვთისმეტყველებისათვის შეუფერებელი იყო, პირველი აპოლოგეტი მამები დაუპირისპირდნენ, რომელთაც ეს საკითხი სუფთა საღვთისმეტყველო ლოგიკით ახსნეს და განმარტეს. მათ ამ კომენტარებში გვხვდებით ასევე სიტყვა დიასპორას. მაგალითად წმ. კლიმენტი ალექსანდრიელი თავის ცნობილ ნაშრომში შეგონება (Protrepticus) ქრისტიანული ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის კვალდაკვალ უპირისპირება ათეისტი ეპიკურეს კონცეფციას. წმ. მამის თქმით: „როცა მრავალი და გაფანტული ხმის გაერთიანება ღვთაებრივ ჰარმონიას [διασπαράξ ἀρμονίαν] მიაღწევს, მაშინ ჩნდება ერთი სიმღერა, რომელსაც ხელმძღვანელობს ერთი გუნდის ლოტბარი, ლოგოსი [ქრისტე], და რომელიც თავის საბოლოო ნავთსაყუდელს [არა ცარიელ სივრცესა და ატომებში], არამედ ჭეშმარიტებაში ჰპოვებს, შემდეგი მოწოდებით: „აბა, მამაო! ღმერთი კი კეთილგანწყობით იღებს ამ ჭეშმარიტ მოწოდებას, როდესაც მოიმკის მას, როგორც პირველ ნაყოფს თავისი შვილებისგან.“ პლუტარქეს შემდეგ ასევე მნიშვნელოვანია იოსებ ფლავიუსის, მისი ნაშრომის უდეველთა სიძველენისა (Antichitati Iudaice) და ფილონ ალექსანდრიელი გახსენება, რომლებიც როგორც ებრაელები, დიასპორაში ცხოვრობდნენ, და რომელთაც ებრაელი ერის პირველი დიასპორული ცხოვრება და გამოცდილება აღწერეს.

### დიასპორა ახალ აღთქმაში

ახალი აღთქმის გაგება დიასპორის შესახებ სრულიად სხვაგვარია. ის ახალ შინაარსს ღებულობს. ეს კი განსაკუთრებით ჩანს კათოლიკე ეპისტოლეებში, რომელთაგან ორი კონკრეტულად დიასპორას ეძღვნება. თუ ძველი აღთქმის დიასპორის გაგებას, რომელსაც მიზეზად ღვთაებრივი განკითხვის მოტივი ედო, ახალ აღთქმაში მას არჩევის მოტივი ენაცვლება. აქ დიასპორა იღებს ახალ კონოტაციას და ის არა დეპორტაციის, გაფანტვის და გაბნევის ადგილია, არამედ გამორჩეულთა, ღვთისგან არჩეულთა და გამოკრებილთა ახალი რეალობა, რაც ნათლად ჩანს წმ. იაკობისა და წმ. პეტრე მიცქულების კათოლიკე ეპისტოლეებში. იაკობ მოციქული როცა იწყებს თავის ეპისტოლეს, პირველივე მუხლში წერს „რჩეულ თორმეტ ტომს დიასპორაში“ (იაკობი 1:1). ეს კი უკვე უფრო მეტია ვიდრე დიასპორის ეთნიკური გაგება, რასაც წმ. პეტრე მოციქული უფრო ცხადად წარმოგვიჩენს: „პეტრე, მოციქული იესუ ქრისტესი, რჩეულთა მწირთა, განთესულთა პონტოსსა და გალატიისა, კაბადუკიისა, ასიისა და

ბითწნიისათა“ (1 პეტრე 1:1). აქედან უკვე ცხადი ხდება, რომ ეს რჩეულნი, რომლებიც არიან განთესილი, გაბნეული, ანუ რომლებიც არიან უკვე დიასპორა, არიან ეკლესიის შვილები: ჩვენ ვიცით, რომ თავად პირველი ქრისტიანები რელიგიურ უმცირესობას წარმოადგენდნენ, თავიანთი სწავლებით, ცხოვრების წესითა და და ისინი ამის გამო უცხო (ბერძნ. paroikia, როგორც უცხოობაში ყოფა-ცხოვრება) იყვნენ მასპინძელი საზოგადოებისთვის. ეს უცხოობა მიჯნავდა მათ ებრაული დიასპორისგანაც კი, რაც საბოლოოდ ანტიოქიაში დასრულდა და გაფორმდა იუდაიზმისგან გამიჯვრითა და ქრისტიანული რელიგიის დაარსების სახით, სადაც წმ. ლუკა მახარებლის მიხედვით იესოს მოწაფეებს პირველად ეწოდათ ქრისტიანები (საქმე 11,26).

ახალი აღთქმის ამ კონცეფციის თანახმად, მთელი ეკლესია არსებობს როგორც დიასპორა - ყველგან, მთელს მსოფლიოში. ამ მოტივზე დაყრდნობით ტერმინმა დიასპორამ ახალი აღთქმის ტექსტებზე დაყრდნობით ფუნდამენტური განახლება განიცადა. დიასპორული სიტუაცია დანახულია როგორც „მსოფლიოში ეკლესიის არსებობის ანალოგი.“ ეკლესიის არსებობა ახალ აღთქმასა და ადრე ქრისტიანულ პერიოდში დიასპორული ხასიათისაა. ეს ახალი გაგება ადამიანს ეუბნება, რომ ის ახლა უკვე თუნდაც თავის ეთნიკურ სამშობლოში ცხოვრობდეს - იქნება ეს საქართველო, ბულგარეთი თუ რუმინეთი - ის როგორც ქრისტიანი მყოფობს დიასპორაში, როგორც პაროკია-უცხო. „სამყარო“ მისთვის უცხო ხდება, თუნდაც ის საკუთარ სახლში, სამშობლოში იყოს (გავაიხსენოთ უცნობი ავტორის წერილის პათოსი დიოგნეტეს მიმართ).

ამით ჩვენ უკვე ვგებულობთ დიასპორას როგორც რამ ესქატოლოგიურ ტერმინს. ეს კი ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ნაშრომ დიდაქეში ცნობილია, კერძოდ ევქარისტის ლოცვებში. აქ ნაჩვენებია ძველი აღთქმის ებრაული მოტივი გაფანტულთა, ანუ დიასპორაში მყოფთა კვლავ ესქატოლოგიური შეკრების შესახებ, თუმცა, რა თქმა უნდა, აქ იერუსალიმი - სიონის მთა აღარ არის გაგებული, როგორც სამშობლოში დაბრუნების ადგილი და მიზანი - და ეთნიკურად არა მხოლოდ ებრაელი იგულისხმება მასში, არამედ მის ადგილს ქრისტიანთა გაგებაში ღვთის სასუფეველი იკავებს. ესაა ის, რაც ნათქვამია დიდაქეში: „როგორც ეს პური, მთების ზემოთ მიმოფანტული, შეიკრიბა და ერთი გახდა, ამგვარადვე შეიკრიბოს კიდით-კიდე ეკლესია შენი სასუფეველში, რამეთუ შენი არს დიდება და ძალი იესუ ქრისტეს მიერ უკუნისამდე!“ იქვე ქვემოთ: „მოიხსენე, უფალო, ეკლესია შენი და იხსენ იგი ყოველგვარი ბოროტისაგან, შენს სიყვარულში სრულყავი იგი და წმიდაქმნილი ოთხივ ქარისგან შემოკრიბე სასუფეველში, რომელიც მასვე განუმზადე; რამეთუ შენი არს ძალი და დიდება უკუნისამდე!“

ცხადია, რომ აქ უკვე ეკლესია გაგებულია როგორც დიასპორა მსოფლიოში, და რამის ასევე გამოიხატება ესქატოლოგიური იმედი, რომ ღმერთი შეკრებს თავის ეკლესიას (ახალ ისრაელს) თავისსავე სამეფოში. კონკრეტულად კი, ეს ესქატოლოგიური იმედი, ვლინდება წმ. ტრაპეზში: ერთი პური, ტარიგი ანუ corpus christi მიუთითებს ერთ ეკლესიაზე, რომელიც გაერთიანებულია ქვეყნის სხვადასხვა კიდიდან, და ტრაპეზი, წმ. ევქარისტია უკვე მიმართულია ესქატოლოგიურ შეკრებაზე. ქრისტიანები ახალი აღთქმის დიასპორული გაგებით ხდებიან Ουρανισπίς (ურანოპოლის) - ზეციური ქალაქის მარადიული წევრები, და ამას შესაძლებელს ხდის ეკლესია, როგორც დიასპორა წმ. ევქარისტიაში.

ამრიგად, შევეცადე მოკლედ მეჩვენებინა ბიბლიური, ფროფანული და

პატრისტიკული მაგალითები დიასპორის საღვთისმეტყველო გაგებისათვის.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ძველი აღთქმა - მცხეთური ხელნაწერის მიხედვით (ძველი ქართულით) და ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტის თარგმანი (ახალი ქართულით);
2. ახალი აღთქმა - გიორგი მთაწმინდელისეული რედაქცია (ძველი ქართულით) და ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი (ახალი ქართულით);
3. „დიდაქე“ - მოძღვრება თორმეტი მოციქულისა;
4. (2001) Israel in the Biblical Period: Institutions, Festivals, Ceremonies, Rituals (transl. John Bowden, Edinburgh: T. & T. Clark, p. xiii, 209);
5. (1999) An Introduction to the History of Israel and Judah (transl. John Bowden, 3rd ed., London: SCM, p. xxii, 442);
6. დიასპორა ძველ აღთქმაში: ევანგელისტური დიასპორა 52 (1982)
7. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - „დიფტიხი და დიასპორა“ თბ.2009;
8. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“ თბ,2000;
9. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - „ქართველთა წინაპრების ბიბლიური ისტორია ადამიდან იესომდე“.

### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია დიასპორის საკითხები წმინდა წერილში. დიასპორის განმარტება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით. ყურადღება გამახვილებულია წინასწარმეტველთა, წმინდა მამათა, ფილოსოფოსთა ნაშრომებსა და გამონათქვამებზე დიასპორულ საკითხებზე.

## DIASPORA AND HOLY SCRIPTURE

### Abstract

#### Archimandrite Abo (Levan Chachua)

A third-year doctoral student at the Georgian Technical University, Faculty of Engineering Economics, Media Technologies and Social Sciences.

The paper discusses the issues of diaspora in the Holy Scriptures. The definition of diaspora is based on various sources. The focus is on the works and sayings of the prophets, holy fathers, philosophers on diaspora issues.

**Keywords:** diaspora, Holy Scriptures, Old Testament, New Testament,